გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1890


კნეინა ლიუბოვ პეტრე ბაზილევსკის ასული, კნეინა ქეთევან დიმიტრის ასული და კნიაზ კონსტანტინე დიმიტრის ძე ერისთავები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა და სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ შვიდის დღის პანაშვიდზედ მიცვალებულის თავად ელიზბარ დიმიტრის ძის ერისთავისა, რომელიც გადახდილ იქნება დიდუბის ეკკლესიაში ნაშუადღევის ორს საათზედ, შაბათს, 17 თებერვალს. (2—2)

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.


## ახალი ამბავი

*** რედაქციამ მიიღო განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზედ დასაარსებელ ფონდისათვის იმის დასაფლავების გამგეთაგან 278 მ. ამას გარდა შემოვიდა ბ-ნ გოგებაშვილისაგან 25 მ. და ბერ-მონაზონ ლეონიდისაგან 10 მ. სულ დღევანდლამდე არის 313 მან.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ბ-ნმა როსინსკიმ შეჰკრიბა 2,281 მ. 5 კ. რუსეთის პოეტის ა. ს. პუშკინისათვის ძეგლის ასაგებად ერევნის მოედნის ბაღში. ეს ფული პოლიცმეისტერმა 15 თებერვალს გადასცა შემომწირველთა სიებითურთ ტფილისის სამოქალაქო გამგეობას.

*** დღეს კიდევ მოგვივიდა წერილები გლოვისა და მწუხარებისა დ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო ძველ-სენაკიდამ, ფოთიდამ, ახალციხიდამ, თიონეთიდამ, ქუთაისიდამ, კავკავიდამ, პეტერბურგიდამ და სხვ. ძველ სენაკიდამ გვწერენ, სხვათა შორის, რომ გვიან შევიტყეთ სამწუხარო ამბავი დიმიტრის გარდაცვალებისა: ველარ მოვასწარით ვერც გვირგვინით შეგვემკო მისი კუბო და ვერც საფლავი დავიტირეთ მისიო. ის-ღა დაგვრჩა მხოლოდ, რომ პანაშვიდი გადავიხადოთ და გთხოვოთ განუცხადოთ მიცვალებულის სახლობას ჩვენი ულრმესი მწუხარებაო.

*** დიმ. ბაქრაძის გარდაცვალებისავე გამო ქუთაისიდამ გვწერს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი წერეთელი, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, რომელიც პირადად იცნობდა განსვენებულს დიმიტრი ბაქრაძეს, შეიკრიბა ქუთაისში, გადაახდევინა პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენებლად და დამავალა განუცხადო მისის სახელით განსვენებულის სახლობას გულწრფელი მისი გრძნობანი მწუხარებისა ყველასაგან პატივცემულის კაცისა და ჩვენის წარსულის შეუდარებელ მკვლევარის დაკარგვის გამო.

*** შეატყობინეთ განსვენებულის დიმიტრის სახლობასაო, გვწერენ თიანეთიდამ, რომ თიონელნი ვგლოვობთ ძვირფასის ისტორიკოსის დაკარგვას და ქართველთა საზოგადო მწუხარებაში ჩვენც მონაწილენი ვართო.

*** დღეს მოგვიტანა „ივერიამ“-აო, გვწერენ კავკავიდამ: სამწუხარო ამბავი ყოველ ქართველისათვის ძვირფას ისტორიკოსის გარდაცვალებისა და გთხოვთ მიიღოთ ჩვენგანაც გრძნობა თანამწუხარეობისა.

*** პეტერბურგიდამ სწერს განსვენებულის ქვრივს „საიმპერატორო საარხეოლოგიო კომისიის“ თავმჯდომარე გრაფი ბობრინსკი: საიმპერატორო საარხეოლოგიო კომისია თავის მოვალეობად სთვლის განგიცხადოთ თვისი ულრმესი მწუხარება. თქვენის განსვენებულის მეუღლის დაკარგვით კომისიამ დაჰკარგა ძვირფასი თავისი თანამშრომელი.

*** პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ შემოგვიკეთა დეპეშით გვირგვინი დაგვემზადებინა განსვენებულის დიმიტრის კუბოს შესამკობად, მაგრამ რადგან დაგვიანებული იყო, რედაქციამ ვერ შეასრულა სტუდენტობის თხოვნა.

*** გუშინ ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნული იყო გასარჩევად მებუკეს საქმე, მაგრამ რადგანაც ერთი მოწმეთაგანი არ გამოცხადდა სასამართლოში, ეს საქმე კიდევ გადიდო.

*** ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურის საავადმყოფოში რკინის გზის მატარებლით ჩამოიყვანეს ქუთაისიდგან ტყიბულის რკინის გზის შტოს დეპოს მოხელე, ვილაცა მასლოვი, რომელსაც თავის მოკვლა მოენდომებინა და ორჯელ რევოლვერი დაეცა გულში. ერთი ტყვია საპრალოს მუცელში მოხვედრია და მეორე—გვერდში. ორივე ტყვია აქამდე მასლოვს ისევ ხორცშივე აქვს და ეხლა ექიმებს უნდათ ამოღება, მაგრამ დიდად ჰფრთხილობენ და ეშინიანთ, ვაი თუ მასლოვმა ოპერაციას ვერ გაუძლოსო. საკვირველი ის არის, რომ დაჭრილი მასლოვი საავადმყოფოში არა წევება ლოგინში და სულ ფეხზე დადის, თუმცა დაჭრილი ალაგები ჯერ კიდევა სტკივა.

*** „Рус. Вѣд.“-ს სწერენ ტფილისიდამ, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის პეტერბურგს ყოფნის დროს უმაღლესი მთავრობა განიხილავს სხვათა შორის პროექტს „თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო სახელმწიფო ბანკის“ დაარსებისას ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიისათვისაო. მაღალ სპეციალურ სასწავლებლის გამართვის იმედი იყო აქამდე კავკასიაში და ახლა, როგორც ისმის, მხოლოდ შუათანა სატეხნიკო სასწავლებელი დაგვიარსდება. ნამესტნიკობის აღდგენის ხმა ისმოდა და ჯერ-ჯერობით ეგ ხმაც არა მართლდებაო.

*** ლონდონის საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში გამართულია თურმე კავკასიის გამოფენა. გამოფენილია მშვენიერი კარტები ანუ რუკები კავკასიისა და იმის ცალკე ქვეყნებისა, აგრეთვე 200-მდე ფოტოგრაფიული სურათია კავკასიის ბუნებისა და სხვა-და-სხვა ტომის წარმომადგენელთა. სურათები გადაუხატავს წარსულს ზაფხულს ფოტოგრაფიის მოყვარულს სენიორს ვიტტორიო სელლას, რომელიც არის შვილი იტალიაში პირველ მინისტრად ნამყოფის სელლასი.

*** ქარელი (გორის მაზრა): 15 ამ თთვეს წირვის შემდეგ თთ. ციციშვილებმა გადუხადეს პანაშვიდი განსვენებულს დიმიტრი ბაქრაძეს.

## ფელეტონი

***

ნეტა რად მზრდიდა მშობელი,
რისთვის მეტყოდა ნანასა;
ძილი რომ გამიტყდებოდა,
გარს რად მავლებდა დანასა?

რას დამნატროდა დაკონკილ
მონებში გამოხვეულსა,
რად მაწოვებდა ჯავრისგან
მუმუს რძე გამოლეულსა?

რას მიალერსდა აკვანში,
ჩემთვის რას გამოელოდდა?
რად არ იცოდა—მის ნაშობს
მეც მისებრ ტანჯვა მელოდა?

თავი რომ ამტკივდებოდა,
ის რად იბდღვნიდა კავებსა;
რად ატარებდა უძილოდ
ათას დღეთ, ღამეს შავებსა?

რად იტანჯოდა, უსუსურს
რიღასთვის დამკაკკავებდა,—
თუ რომ ქვეყანა ენიანს
უენოდ ჩამაქვავებდა?!.

ზაყელი

## შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის-ძველ ისტორიისა.

აგერ თვრამეტი წელიწადი შესრულდება, რაც ეს მეტად შესანიშნავი ქართულ ისტორიისათვის წერილი გამოცხადდა და ჯერ, ვგონებ, საქართველოში ამაზედ არავითარი ცნობა არ არის, თუმცა ქართულმა ჟურნალ-გაზეთობამ ახალ ამბების მადა ჯეროვანზედ მეტი გამოაჩინა. ამ დუმილის მიზეზს ვაწერ იმას, რომ წერილი ლიტოგრაფიულად დაიბეჭდა, დაურიგდა ავტორის მეგობრებს დიდი წილი, ნაკლები გადიდვა გასასყიდლად და ისე სწრაფად დაიტაცეს, რომ მერე მოპოვება ვერა გზით შესაძლო ვერ იქნა.

ფრ. ლენორმანი თავისის აუარებელის შრომითა და ცოდნით უუძველეს ისტორიისა, ეტნოგრაფიისა და ენებისა ისე გამოჩენილია ახალ მეცნიერებაში, რომ ქართველ საზოგადოებისათვისაც უცნობი არ იქნება. იმის კალმისთანა მეცნიერული კალამი თავის დღეში არ მოხვედროდა ქართულ და სომხურ ისტორიას და რა მოხვდა, გააუქმა არა თუ ქართველებისა და სომხების ძმობა, ერთ-შთამომავლობა, თვით სომხეთიც ახმენიდების პერიოდამდის წაართო სომხებს და საბოლოოდ დაუმტკიცა ქართველებს. რასაკვირველია, ამ სამკვიდროთი არც ქართველებს დაეხსნათ მამულები პრიკაზისაგან, არც სომხებს წაერთოთ ბანკების აქციები, რომელიც ჯიბეში უწყვიათ, მაგრამ ისე გააბრაზა პროფესორი პატკანოვი [1]), რომ ცამეტი წელიწადი მოსვენებას ველარ მიეღწია და ბოლოს, რაკი უკეთესი ვერა გააწყო-რა, დაჰბეჭდა თავისი ცნობილი ფელეტონი, სადაც დიდის ხრიკებით, თვალთმაქცობით სხვის ნამოქმედი თავის თავს მიაწერა, შეუცვალა ცნობილ ფაქტებს ფერი და ამითი „ქართლის ცხოვრების“ გაუქმებას ჰლამოდა.

ამ ორმოცის წლის განმავლობაში მოიპოვეს სახსარი ლურსმულის წერის წაკითხვისა, რომელმაც ისე შეარყია და განავრცო მეცნიერება, რომ ამას ამერიკის პოვნაც ვერ შეედრება. ამერიკის პოვნა იყო შემთხვევითი, აქ-კი კაცმა გამოიჩინა აუარებელი ძალა ჭკუისა, გამჭრიახობისა და მოთმინებისა. ორი ათას ხუთასის წლის განმავლობაში მთელი კაცობრიობა მოხვდა წინა აზიას, სადაც ყველა ნაბიჯზედ შეხვდებოდა აგურებზედ, ქვებზედ და კლდეებზედ ნაჯღაბნს რაღაცა ხაზებს, რომლებსაც მიაწერდა უცნაურ შემთხვევათა ნაწარმოებს და არა კაცის კვალს, მისს უუძველესს ისტორიულს ნაშთს. ბოლოს მეცნიერებამ ამას გადაავლო თავისი განმჭვრეტელი თვალი და აღმოჩნდა, რომ ამ უგვან ხაზებში ყოფილა დაცული სათავე ჩვენის ცივილიზაციისა. მხოლოდ რა ერთი შრომა იხმარა კაცის ჭკუამ ჯერ მარტო იმის დასადგენად, რომ ეს იყო არა უბრალო ნაჯღაბნი, არამედ ნამდვილი წერილი, ანბანი! როცა ეს გადაწყდა, მერე წარმოსდგა ახალი და უფრო ძნელი გამოსაკვლევი: ეს წერა რა ხალხს უხმარნია და რა ენაზედ? მეცნიერებამ ეს გამოსაკვლევიც დაამარცხა: გამოიცნა უცნაური ხალხიც და მისი ენაც; შეადგინა იმისი გრამატიკა, დიქციონერები; აღადგინა მიწის ქვეშ ათასის წლობით დამარხულნი წიგნთ-საცავნი, სადაც ქაღალდის მაგიერ აგური და ქვა ხმარებულა; შეჰქმნა მთელი ლიტერატურა, რომელიც მოგვითხრობს უფრო უძველეს და ნამდვილ ცნობათ, ვიდრე ბიბლია. ეხლა ყველა გამოჩენილ უნივერსიტეტში ასწავლიან ამ ენას და წერას, როგორც ბერძნულსა და ლათინურს. მეტად სასარგებლოა დაწვრილებითი ცნობა ამ ახალის ღვაწლის ისტორიისა, თუ რა გზით იარა ამ საქმეში კაცის ჭკუამ, რამდენი დაბრკოლება მოიშორა და დაამარცხა! მკითხველი მოიგებს ამ მაგალითით რწმენას, რომ კაცის მხნეობას არა აქვს საზღვარი! უმეტესი ნაწილი შრომისა ამ საქმეში გასწიეს ინგლისელმა ჰანრი რაულინსონმა და ფრანსიელებმა ჟულ-ოპპერტმა და ფრანსუა ლენორმანმა.

როდესაც დაიწყეს გადმოთარგმნა და გამოცხადება ახლად მოპოვებულის დოკუმენტებისა, იქ ბევრ ალაგს მოიხსენებოდა არმენია და არმენები. ერთმა სწავლულმა ფრანსიელმა, საფრანგეთის ინსტიტუტის წევრმა, მცოდნემ სომხურის ენისა და ისტორიისამ, დილორიემ, არ მცოდნემ ახლად მოპოვებულის ნაწერისა და ენისამ, მი-

[1]) ეს წერილი გამოგზავნილი იყო დასაბეჭდად ჯერ ისევ მაშინ, როცა განსვენებული პატკანოვი ცოცხალი იყო.

ნაშუადღევს დაესწრნენ ციციშვილები და აქაურის სკოლის მასწავლებელი თავის პატარა შეგირდებითურთ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია, 13 თებერვალი. წინად ავაზაკს სისონა დარჩიას ბრალად ედებოდა სხვა და-სხვა ავ-კაცობა, დაიჭირეს, ბორკილები შეუყარეს, ციხეში დააპატიმრეს და საციმბიროდ ამზადებდნენ. მისთვის, თვით საგანგებოდ გაკეთებული, მაგარისა და ვიწრო ბორკილების გატეხა-წაძრობა ჩხირის გატეხასავით და კალოშების წაძრობასავით ადვილი გამოდგა. ორჯელ საპყრობილიდამ გაიქცა, ტუსაღობა-პატიმრობას თავი დააღწია, გაყაჩაღდა, გაგარეულდა და თანამოძმეთა სისხლის სმით გულ-შეუჯერებელმა და გაუმაძღარმა, უკანასკნელის გაქცევის შემდეგ, ათის თვის განმავლობაში რამდენიმე საზიზღარი, შემზარავი და შემაძრწუნებელი კაცის-კვლა და ძარცვა-გლეჯა კიდევ ჩაიდინა.

დიდი ავ-კაცობის სახელი გაითქვა დარჩიამ, ჩვენს განაპირა მხარეს შიშის ზარი დასცა და ბევრი მდევარი მიუჩინეს. ვინ მოსთვლის რამდენჯერ „საფრთხე უგეს“, თოფი ესროლეს და მისი გადარჩენა ბეწვზედ ეკიდა, მაგრამ ყველას უვნებლად გადაურჩა. დარჩია თავის ხერხიანის მოქმედებით ყველას აოცებს და ლაპარაკისთვისაც უხვს მასალას იძლევა. იმდენს, მგონია, დარზე და ავდარზედაც არ ლაპარაკობენ. იქნება ზოგი კიდეც შეჰნატრიდეს იმის ხერხიანობა-სიმარდით გამსჭვალულს ძალ-ღონეს.

ამ გამხეცებულ-გაველურებულ, ბევრის ოინის, განსაცდელისა და ვაივაგლახის მნახველსა და გასაჭირის ცეცხლში გამოვლილს, არა-ჩვეულებრივ სიკვდილის შვილს, როგორც ამბობენ, ახალ-მოდის ჭირი შეეყარა. რაკი ასეთს უძლეველს მდევს შეჰბედა და შეეჭიდა, ამის შემდეგ მოდი და სთქვი, რომ ინფლუენცია ბეცი არ არისო. ხუმრობა გაშვებით იყოს და თურმე ძალიან ჩამოაყრევინა ყურები, მოახრევინა ქედი და იმდენად მოაშინაურა, რომ თავ-შესაფარი კუნჭული და განსასვენებელი ლოგინი მოაძებნინა სოფელ ლესას, ერთის კაცისას, გვარად კუნჭულიასას.

ინფლუენციამ შესამჩნევი სიავე მოუტანა გურიას: ბევრი უწყინარი და მშვიდობიანია კაცი უდროოდ გამოაკლო; ერთს სამსახურს გაგვიწევდა და სიკეთეს გვიზამდა, რომ ის მაწყინარ-შფოთიანი და საშიშარ-საძულელი ყაჩაღი საიქიოს გაემგზავრებინა და მოესპო. შეიძლება ასეც ექნა, მაგრამ ხშირად შესაფერ მოწყობილებას, ნაზად მოვლას და წამლობას შეუძლიან სენზედ გაიმარჯვოს და სნეული სიკვდილს ხელიდამ გააგდებინოს.

მკითხველი განკვირვებით იკითხავს: სად ყველასაგან ათვალწუნებული, მოძაგებული ყაჩაღი, სად მოვლა-წამლობა და ბინა?! რომელი თავზე ხელ-აღებული დაინდობს, მიიღებს და ახლოს მიიკარებს?! თურმე ჩვენში მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელთანაც გულ-ქვავი ყაჩაღი გულ-ცივად იქცევა. ნათქვამია „გული გულს იცნობსო“ (ნურას ვიტყვით ღონისას) და ისიც თანაუგრძნობს. სანამ ყაჩაღმა არ მოიკეთა და არ მოღონიერდა, სად იყო, სად არა, ავად იყო თუ კარგად, ამას ყოველივე საიდუმლოების ზეწარი ეფარა და დუმილით იყო მოცული. ცნრას ამ თვისას-კი გამოაშკარავდა შემდეგი:

აღნიშნულს რიცხვს პოლიციის ბოქაულმა გაიგო, რომ კუნჭულიასას იმყოფებოდა ყაჩაღი. ღამით შეთოფ-იარაღებულ კაცებით გარს შემოერტყა. ყაჩაღს რამდენისამე წუთით წინად გაეგო თავს დამსხმელების მოახლოვება, წამოევლო თავის თოფისათვის ხელი და გამქრალიყო უკვალოდ. ბევრი ეძებეს მაგრამ ვერას გახდნენ. შევიდნენ გაქცეულის განსასვენებელ სახლში და ნახეს იმისი წამლებიდა სხვა ნივთები.

თეოფანე კალანდარიშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

ბ-ნო რედაქტორო!

ქართველმა საზოგადოებამ ისურვა გულითადის პატივისცემის ნიშნად თავის საკუთარის ხარჯით დაასაფლაოს ისტორიკოსი საქართველოსი განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე. ამისათვის სულ მიგროვდა დღევანდლამდე შესაწირავი სამოც-და-თერთმეტი თუმანი და რვა მანეთი (788 მან.) დაიხარჯა 510 მან. აქედამ დასაფლავებაზე დაიხარჯა 347 მან., დანარჩენი 163 მან. გადაეცა განსვენებულის სახლობას საშინაო ხარჯისათვის. ძირს დარჩა 278 მან. ეს გასავალი და შემოსავალი ხელ-წერილებით დასაბუთებულია და გამგეთაგან შემოწმებული. ხარჯს გარედ დარჩენილი 278 მ., საზოგადოების სურვილისამებრ, ჩაჰბარდა გაზ. „ივერიის“ რედაქციას, რათა ეს ფული მიათვალოს დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულს ფონდს.

„გამგენი“

### II

ჯერ სამი დღეა მხოლოდ, რაც ბნელ სამარეში ჩავუშვით ჩვენის დაუვიწყარის ისტორიკოსის კუბო და აი ამ მოკლე ხანშივე გამოითქვა საზოგადოებაში აზრი, რომ საჭიროა ა) დავაარსოთ განსვენებულ დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზედ საუნივერსიტეტო სტიპენდია, ბ) ავუგოთ შესაფერი ძეგლი და გ) გამოვცეთ ერთად მისი ნაწერებიო. ჭეშმარიტად, რომ სასიამოვნოა ეს აზრი და მოფიქრება საზოგადოებისა. აქედამ თვალნათლივ ვხედავთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში უკვე აღძრულა დაუოკებელივი და მტკიცე სურვილი სამშობლო ისტორიის შესწავლისა. ჭკუა გონებით განვითარებული და დაწინაურებული ქართველი საზოგადოება ჰგრძნობს, რომ საჭიროა ჩვენის წარსულის ცხოვრების მკვლევარი იყოს აუცილებლად აღჭურვილი აწინდელის ისტორიულის მეცნიერების მოთხოვნილებათა შესაფერის ცოდნითა და მეთოდებით და ამისათვის გადასწყვიტა ჰზარდოს ყოველ წლივ უნივერსიტეტში საისტორიო განყოფილებაზე თითო ნაჭიერი ქართველი. მაგრამ უნივერსიტეტში არ ასწავლიან საქართველოს ისტორიას, იქ ქართველი სტუდენტი შეიძენს მხოლოდ სამეცნიერო მეთოდს, გონივრულად გამოკვლევის გზას, კაცობრიობის ისტორიის საზოგადო და დაურღვეველ კანონებს და სხ. რასაკვირველია, მეტად სასურველი და მეირფასია ამ გვარი ცოდნა, მაგრამ იგი შეადგენს საზოგადო სქემას, ჩონჩხს, რომელსაც შემდეგში ქართველმა სტუდენტმა უნდა შეასხას სისხლი და ხორცი, შთაბეროს სული და აღბეჭდოს ეროვნულის სახით. უეჭველსათვის ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად ძნელი და სამძიმოა ამ გვარის საქმის რიგიანად და შესაფერად აღსრულება, რაოდენი შრომა, მხნეობა, უნარი და გამჭრიახობა უნდა ჰქონდეს რუსულ უნივერსიტეტში კურს-დამთავრებულს ქართველს, რომ მან ამ საზოგადო ისტორიის ქარგაზე ხელოვნურად ამოქსოვოს და დაუყვავილოს ჩვენის ერის კერძო ისტორია. აი ეს სიძნელე ჰქონია საზოგადოებას მხედველობაში და განუზრახავს ჩვენის წარსულის მომავალ სწავლულ მკვლევარებს გაუადვილოს ტვირთი, აღუპყრას ხელი, აღარ აშრომოს და უნაყოფოდ აღარ აკარგვინოს მეირფასი დროება იმის ძებნაში, რაც გამოკვლეული და გარჩეულია, მისცეს ხელში დამჯდარის მეცნიერის ნაწარმოები, ე. ი. შეკრიბოს და გამოსცეს ერთად სუყველაფერი, რაც-კი ორმოცის წლის განმავლობაში დაუწერია განსვენებულ დ. ზ. ბაქრაძეს და არის დაფანტული ათას გვარ რუსულ-ქართულ ჟურნალ გაზეთში.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ ერთის მხრით ძველ ჟურნალ-გაზეთებში წვრილმან წერილებისა და სტატიების ძიების სიძნელეს და მეორე მხრით იმას, რომ მომეტებული ნაწილი ამ ჟურნალ-გაზეთებისა ეხლა ძალიან ძნელად მოიპოვება სრულად, უეჭველია ყველანი კვდიარებთ ამ აზრის განხორციელებისა და სისრულეში მოყვანის აუცილებელს საჭიროებას. რომ ბაქრაძის თხზულებათა შეუკრებლობა შემდეგში ძალიან შეაფერხებს ჩვენის ისტორიის ლიტერატურის შესწავლის საქმეს, ამას გვიმტკიცებს პლატონ იოსელიანის თხზულებათა მაგალითი. როგორც ვიცით, პლატონ იოსელიანის სიკვდილს შემდეგ მის ნაწერებს არ ამოსჩენიათ შემკრები და ერთად გამომცემი და დარჩენილია გაფანტული სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთის და წიგნაკში.

ამის გამო ეხლა რომ მოინდომოს ვინმე იოსელიანის ყველა ნაწერის შესწავლა და გაცნობა, ძალიან ძნელად აისრულებს წადილს. თითონ ამ სტრიქონების დამწერს ესაჭიროებოდა ერთ დროს წაეკითხა „დიდ-მოურავიანი“, იოსელიანისგან რუსულად ნათარგმნი, მაგრამ, არამც თუ კერძოდ, ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავშიაც-კი ვერ იშოვნა ეს თვალ-საჩინო და მოზრდილი შრომა. რაღა ვთქვათ ამას შემდეგ პატარ-პატარა წიგნაკებზე, რომლებიც ძალიან ბლომად დარჩა იოსელიანს? მაშასადამე, ბაქრაძის ნაწერებსაც რომ ესევე არ დაემართოს, უეჭველად საჭიროა იმათი დროზე შეკრება და გამოცემა.

იმედია, რომ რაკი მთელმა საქართველომ დ. ზ. ბაქრაძის სიკვდილი მიიჩნია საზოგადო დასაკლისად, იმის ნაწერებსაც ყველა ქართველი აღიარებს თავის უძვირფასეს საკუთრებად და არა ღონისძიებას არ დაჰზოგავს იმათის შეძენისათვის. დ. ზ. დასაფლავებაზე შეერთებულნი ვიყავით ზერნი და ქრნი, სწავლულნი და უსწავლელნი, დიდნი და პატარანი, და იმის თხზულებათა გამოცემის საქმეშიაც საჭიროა ამ გვარი ერთ-შერიანობა და ტვირთის საზოგადო ზურგით აწევა.

ამ ხელად გიგზავნით ერთს თუმანს დ. ზ. ბაქრაძის თხზულებათა გამოცემის თანხის შესადგენად.

მღვდელ-მონაზონი ლეონიდი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რა იყო უწინდელი ბრძოლა და ომი და რა არის ეხლანდელი? არც ერთი საქმე, არც ერთი მეცნიერება არ წასულა ისე წინ, ისე არ გაუმჯობესებულა და არ განვარგებულა, როგორც საქმე ხალხთა ხოცვისა და ჟლეტისა, ადამიანის თვალის დახამხამებაზედ განადგურებისა. უწინ ბრძოლის დროს ერთი ფალავანი გაემკლავებოდა მეორეს, შუბ-კეცა ფარს იფარებდა და ცხენიდგან ჩამოგდება მტრისა სავმარისი იყო, რომ იმ მტერსაც და ყველასაც დამარცხებულად ეცნოთ იგი. ეხლა-და? ეხლა ადამიანის სიმარჯვე, სიმამაცე, ძალა და ღონე უკან არის დაყენებული და იმდენი ხალხთა საჟლეტი იარაღია გამოგონილი, რომ ერთი ბედასლი, ნაცარქექია კაცი მთელს ჯარს ამოჰჭოლავს და პირ-ქვე დაამხობს. აიღეთ თუნდა თოფი. აი ამის შესახებ რა ცნობებია დაბეჭდილი გაზ. „Недѣля“-ს უკანასკნელს ნომერში:

თოფს რაღა განკარგება და გაუმჯობესება ეჭირვება, როცა საფრანგეთის ჯარში შემოღებული თოფი

---

ჭმართა ფრანსუა ლენორმანს, როგორც ყველაზედ უფრო ახალგაზდა და მხნე მეცნიერს, იმის შესატყობლად თუ,—ახალი დოკუმენტები რას ამბობენ არმენიაზედ და არმენებზედ? ამ კითხვის პასუხად გახლავთ შემდეგი თარგმანი ფრ. ლენორმანის წერილისა. ხოლო შენიშვნანი და ნაწილი ფრჩხილებში ჩასმულისა ეკუთვნის მთარგმნელს.

წერილი ფრანსუა ლენორმანისა, დელორიესთან მიწერილი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენ ხშირად გამოგითქვამთ სურვილი, რომ განსაკუთრებით შემეკრიბნა ახალნი მოთხრობანი არმენიის უძველეს ისტორიისა, რომელთაც ვპოულობთ ლურსმულს ნაწერებში. ამ წერილით ვასრულებ თქვენს სურვილს. უძველეს პერიოდს არმენიის ისტორიისას ახმენიდების ეპოხამდის მართლად მოჰფინა მოულოდნელი ნათელი ლურსმულ წარწერათა და ტექსტთა გამოკვლევამ. ამ ტექსტების მოწყალებით ჩვენ ეხლა შევიძლიან წარმოვიდგინოთ საზოგადო სახე იმ ისტორიისა, დამყარებული იმ დროინდელ უტყუარ დოკუმენტებზედ, რომელთა ნაწილი იპოება ალაგობრივ, თვით არმენიაში, დანარჩენი-კი წარმომდინარებს ასსურულ წყაროთაგან. ამ დოკუმენტების დარღვევა არაფრით არ შეიძლება და იმათში ნათქვამი სრულებით არ ეთანხმება სომხების [2]) მწერლებს, განსაკუთრებით მოსე ხორენელისას, რომელთაც მეცნიერება აქამდის ერწმუნებოდა. არა თუ მარტო აქ, ახალ ცნობათა მიხედვით ძალ-დატანებული ვართ სრულებით და ყოველ მხრივ შევცვალოთ მთელის აზიის აქამდის ცნობილი ისტორია და მივცეთ ახალი ფერი. შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ სომხებს არ აბადიათ არა რიგი ნაციონალური გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კიროსის თანამედროვე იყო. რაც-კი შეეხება ამაზედ წინა დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა მომდინარებს მოსე ხორენელის წიგნისაგან და ეს წიგნიც, როგორც თვით ხორენელი გვემოწმება, არის უბრალო ასლი (კოპია) მარ-აბაზ კატინის ცრუ-სიტყვაობისა, კომპილაციისა. ეს ბატონი კატინა სცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეს, ადგა ლიტერატორობის ხელობას, ეკუთვნოდა ედესსის სკოლას და ამან შეადგინა კომპილაცია, სადაც სიმართლეზედ უფრო მეტი სიცრუე შეიტანა, და სულ ეს ააშენა კტეზიის ხრონოლოგიურ სისტემის მსგავსად და, სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო ამ სისტემის მიბაძვას უნდა გაეფუჭებინა საქმე, გაეშორებინა ჭეშმარიტებისაგან. გულ-უბრალო მკითხველის მოსატყუებლად კატინამ ის ხერხიც მოიხმარა, რომ თავისი კომპილაცია მიაწერა ალექსანდრე მაკედონელის დროს. კატინის დროს ამისთანა ხერხიანობა ძალიან გავრცელებული იყო და ამ გვარის ყალბის წერილებით, ფალსიფიკაციებით მოჰფინეს მთელი ქვეყანა.

უალრესნი ცნობანი არმენიის ცხოვრებისა, განსაკუთრებით მისი უძველესი ეტნოგრაფია, სპარსთა განძლიერების წინ, იმ სახით, როგორც ეს ცხადდება ასსურულ ლურსმულ წარწერათაგან, შეჰკრიბა ჰანრი რაულინსონმა თავის მეტად შესანიშნავ წერილში, რომელიც ჩაურთო მეოთხე ტომს თავის ძმის გიორგი რაულინსონისაგან ინგლისურად გადმოთარგმნილ ჰეროდოტის ისტორიას. ეს წერილი შეადგენს უმეტეს შესანიშნავ შრომას სხვათა შრომათა შორის ჰანრი რაულინსონისას, რომლის დაუცხრომელმა ცდამა და გამჭრიახობამ ახადა საიდუმლოების ფარდა ასსურეთის წერას, და დაიპყრობს მეცნიერებაში საჩინო ალაგს. მე სრულებით ვეთანხმები ამ წერილის უმთავრესთა დანადგენთა და მაქვს იმედი, რომ ჩქარა მოვა ის დრო, როდესაც ამ დანადგენებს ექმნებათ შეურყეველის ჭეშმარიტების ღირსება. ხოლო, რადგანაც ჰან. რაულინსონის წერილი, ეტიუდი, არის მეტად მოკლე, მე ამ ჩემის შრომით მინდა ის შევავსო და მივცე ჯეროვანი სივრცე.

როგორც ზევით ვახსენე, ახალნი ცნობანი არმენიის ისტორიისანი სწარმოებენ ორ ნაირ წყაროთაგან: ერთი მათგანი შესდგება ასსურელთა მეფეთა ლურსმულ წარწერათაგან, სადაც მეფენი მოგვითხრობენ, თუ რა მიდენ-მოდენა, ანუ, განსაკუთრებით, რა ომიანობა და ბრძოლა ჰქონიათ არმენიასთან, არმენიაში; მეორე შესდგება ალაგობრივ ლურსმულ წარწერათაგან, რომელთაც, თუმცა საზოგადოდ არმენიულ წარწერად უწოდებენ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს სწორე სახელი არ არის, ეს უნდა შეიცვალოს და დაერქვას ალაროდიული წარწერა, რის საფუძველიც ქვემორე იქნება მოყვანილი და რაშიაც თვით ჰეროდოტის ავტორიტეტიც შემეწევა.

ასსურულნი წარწერანი, რომელნიც არმენიას შეეხებიან, დაიწყებიან Sal-

[2]) მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ აქ ხმარებულნი სიტყვანი—არმენია, არმენები მიეწერებიან მიწას და ხალხს, იმ მიწაზე დამკვიდრებულს, სომხების, ჰაოცების გამოჩენამდის. თვით სომხებისა და სომხეთის დასასახელებლად-კი მოვიხმარებთ სიტყვებს სომეხნი, ჰაოცნი, სომხეთი, ჰაიასტანი. სიტყვა: არმენია პირველად მოიხსენება ახმენიდების წარწერებში, მეექვსე საუკუნეს ქრ. წინ; უწინ-კი იმ მიწას რქმევია: Nairi, Urarti, Yanna და სხ. და ხალხიც იქ სხვა მკვიდრებულა, არა სომეხთა თესლი. ეს ნათლად აღმოჩნდება ამ წერილისაგან.

ლებელისა საშინელსა და თავს ზარდამცემს ძალას აძლევს ტყვიას? ამ თოფით ნასროლი ტყვია ასს საჟენზე ერთის ადლის სისქის ფიჭვს შიგ უვლის, ნახევარ ადლიან სისქის მიწას და გოჯ-ნახევარ სისქის რკინას. ვგონებ ამაზედ უკეთესი საჭირო აღარ არის. ამასობაში შემოიღეს თუ არა ფრანგებმა ეს თოფი, ტეხნიკამ უფრო უკეთესის, უფრო მომაკვდინებელის თოფის გაკეთება შეიძლო და ლებელისა გამოუსადეგრად, უვარგისად მიიჩნია. პირველში დიდი ალიაქოთი გამოიწვია იმ თოფმა, რომელიც უბოლო თოფის წამლით იხმარებოდა, ბოლოს-კი იმავ საფრანგეთში პოლ ჟიფარმა გამოიგონა ერთ გვარი თოფი, რომელსაც არც თოფის წამალი უნდება და არც ბოლი აქვს. ამ თოფის გასროლა შეიძლება მხოლოდ შეკუმშულის ჰაერის შემწეობით, ძალიან სუბუქია, სროლა თოფის ლულას არ აცხელებს და მიზანსაც უველაზედ შორსა და კარგად უწევს. ეს თოფი სროლის დროს ხმას მხოლოდ ოდნავ იღებს. სამასჯერ მსროლელი შეუკუმშული ჰაერი ერთად აქვს და შემდეგ ადვილად შეიძლება კვლავ გაიტენოს სამასის სროლისათვის საჭირო ჰაერითვე.

ერთის სიტყვით, ამ თოფით ასი ათასის კაცისაგან შემდგარს მტრების ჯარს ერთმანეთის განადგურება სულ ერთს საათში შეუძლიანთ და ომის ბედ-იღბალი რამდენსამე წუთშივე გადაწყდება. თუმცა ასეა, მაგრამ ეს ჟიფარის თოფიც უკან ჩამორჩა სხვას, ამ მჯობსაც კიდევ მჯობი გამოუჩნდა. ამ თოფმა თავისი ალაგი უნდა დაუთმოს

ახალს თოფს, რომელიც შეკუმშულ ჰაერის მაგიერ ელექტრონსა ჰხმარობს. ეს თოფი იტალიაში გამოიგონეს და ამას წინად გამოსცადეს კიდეც სამხედრო მინისტრის განკარგულებით, გამოსცადეს და ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ. ეს ელექტრონის თოფი იმით სჯობნის ჟიფარისას, რომ სროლის დროს სულ არ იღებს ხმას და ოთხ-ნახევარ ვერსის მანძილზედ ადამიანსა ჰკლავს.

ასევე წინ მიდის და განკარგებაშია არტილერიაც.

ეხლანდელის ზარბაზნის ნასროლი თითქმის ცხრა ნახევარ ვერსის მანძილზედ უწევს. ზღვის სანაპირო და გემ ხომალდების თითო ზარბაზნის სასროლი სამოც-და-ერთს ფუთს იწონს. პიროქსილინით გატენილი უმბარა ათას ნაჭრად სკდება და ერთ ნაჭერს ორის, სამის ადამიანის განადგურება შეუძლიან. შეკუმშულმა ჰაერმა არტილერიასაც გაუწია სამსახური, იქაც გაჩნდა შეკუმშულ ჰაერით სასროლი ზარბაზნები და საკვირველია ამ ზარბაზნის ნასროლი გემსა, ან ხომალდს ახლო გასკდეს, ისე გააქრობს, რომ კვალიც ველარსად უპოვნონ.

ამ იარაღებისაგან დასაფარავი საშუალებაც ბევრია მოგონილი. მაგალითებრ, სამხედრო ხომალდებს გარს რკინა შემოარტყეს, ციხეს ფოლადის ბანი გაუკეთეს. მაგრამ არტილერია ისე უკეთესდება, რომ წინ ვერა დაუდგება-რა, ვერა გაუმაგრდება-რა. აი ეხლა კიდევ „მერმისის არტილერიის“ განკარგებაში არიან.

ეს არტილერია იმაში მდგომარეობს, რომ მტერს პირდაპირ-კი არ ესვრის, აქედგან ნასროლი ზურგიდგან უბრუნდება და ისე ჰკლეტავს ხალხს. ეხლა-ხან საფრანგეთის არტილერისტმა შაპელმა გამოიგონა ერთ გვარი ზარბაზანი, რომლის ნასროლიც მიჰქრის წინ, მტერს კარგა შორს წაუვა, შემდეგ ვერს-ნახევარს უკანვე ბრუნდება და ჯარის ზურგთან იჩენს თავისს მომაკვდინებელს ძლიერებას.

საზოგადოდ სამხედრო იარაღები, დღობით-კი არა, საათობით ისხამს ფრთას და უკეთესდება. ამ ბოლოს დროს კიდევ სცდილობენ ჰაეროსტატები ომისა და ბრძოლისთვის გამოიყენონ.

მედონში, საფრანგეთშია, განსაკუთრებული სამხედრო სასწავლებელია დაარსებული, სადაც მოსწავლენი ჰაეროსტატით სიარულსა სწავლობენ. ჰაეროსტატით მტრის დაზვერა უნდათ შეიძლონ და ამას წინად სცადეს კიდეც, რამდენად მოსახერხებელია ეს საქმეო. ჰაეროსტატს ქვეშ პაწია ნავი აბია, რომელშიაც ნაწყობილია ყოველივე საჭირო იარაღი და სხვათა შორის ზღვის დურბინდი, რომლითაც შესაძლებელია კარგა ვრცელის მანძილის დათვალიერება და მტრის ადვილად შემჩნევა. ნავში მყოფსა და ხომალდს შორის ტელეფონია გამართული და ამით ერთმანეთს ატყობინებენ სხვა და-სხვა ცნობას.

აი დასასრული რას ამბობს ამ ცნობების დამწერი:

როცა ჰკითხულობ ამ ცნობებს და თვალ-წინ დაიყენებ ამდენს საზარს ადამიანის გაჟლეტისას, მეცნიერების მიერ მოგონილს, და აგრეთვე წარმოიდგენ აურიცხველს ჯარს, რომელიც განათლებულ სახელმწიფოებსა ჰყავთ დამზადებული ერთმანეთის გასანადგურებლად, უნებურად გჯერა, რომ ეს ამდენი მომაკვდინებელი და სულთამხუთავი იარაღი სწორედ ომისა და ბრძოლის გასაუქმებლად არის მოგონილიო. მართლაც-და, ომში ამ ჟამად იმდენი ხალხია გაწვეული და სამხედრო ტეხნიკაც იმდენად განკარგებულია, რომ, თუ ომი ასტყდა, ასეთი ომი დამარცხებულთა ერთიან მიწასთან გასწორება იქნება. მველად პაწია ხალხს იმონავებდნენ ბრძოლით, მერმისში ომს საგნად ექნება მთელის ერის ამოწყვეტა, ერთიან ამოფხვრა. თუ მართლა ასე მოხდა, თუ ერთ-ერთს ომში ჩარეულთაგანს სულ ერთიანად აღგვა მოელის პირისა ამ ქვეყნისაგან, ვიღა გაჰბედავს და ვიღა დაიწყებს ომს? იქნება კიდეც ამიტომ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ბევრჯელ ატეხილი აურზაური მორიგებით თავდება, გადაუწყვეტელს საგანს გადაუწყვეტლადვე სტოვებენ და ომს-კი არ იწყებენ? ამ მხრით რომ შევხედოთ სამხედრო ტეხნიკის წინ-სვლას, სწორედ სიკეთის მომტანად უნდა მივიჩნიოთ ეს ამდენის სხვა-და-სხვა იარაღის გამოგონება. ვინ იცის, იქნება იმის შიშით, რომ სულ ერთიან არ ამოვწყდეთ და, თუნდა გავიმარჯოთ კიდეც, მაინც უშველებელი ზარალი არ მოგვეცესო, ომი სულ ერთიან აჰკვეთონ და ბრძოლის ჩვეულება ერთიან გადავარდეს.

ვინ იცის, ხომ ვინ იცის, მაგრამ იმიტომ ვინატროთ საერთო შეიარაღება, სამხედრო ტეხნიკის გაუმჯობესება და განკარგება, რომ აცა, იქნება ომი ერთიან გადავარდესო, ვერაფერი ნატვრა იქნება და შეიძლება გავამართლოთ კიდეც ის ანდაზა, რომ „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გასძვრაო“; შეიძლება ამდენმა ხარჯმა ომისა და ბრძოლის სამზადისისამ ქვეყანას თავისი დაჰმართოს და უომრად, უბრძოლველად სული ამოჰხუთოს კაცობრიობას.

## რუსეთი

იანვარში სამი ახალი ჟურნალ-გაზეთის ნება-რთვა გამოვიდა რუსეთში. ერთი გაზეთი მოსკოვში გამოვა ყოველდღე და იქნება სურათებიანი. მეორე გაზეთი საკვირაო და ეწოდება „სამკურნალო გაზეთი ბოტკინისა“ და მესამე თვიური ჟურნალია, სახელად «ზღვევის მიმოხილვა».

— პეტერბურგის უნივერსიტეტმა 8 თებერვალს იდღესასწაულა 71 წლის არსებობის დღე. 1889 წელს უნივერსიტეტში ყოფილა სულ 1698 სტუდენტი, 1890 წელს 1795. ყველაზე მეტი რიცხვი სტუდენტებისა, სახელდობრ 875, ყოფილან იურიდიულს ფაკულტეტზე. 1889 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყოფილა 788,000 მანათამდე. სტიპენდიებად მიუციათ სტუდენტებისათვის იმავე წელს 80,000 მან.

— გუშინდელმა დეპეშამ სხვათა შორის გვაუწყა, რომ უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს წელს გაჰმართონ გამოფენანი შემდეგ სამეურნეო საზოგადოებათათვის: რუსეთის საიმპერატორო ბაღოსნობის საზოგადოებისათვის—საყოველთაო გამოფენა ბაღოსნობისა, ხილეულობისა, ბოსტნეულობისა და თესლეულობისა სექტემბრის გასულს პეტერბურგში; სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსეთის სამეურნეო საზოგადოებისათვის—სამეურნეო გამოფენა შინა მრეწველობის განყოფილებითურთ პენზაში; ბორისოგლებსკის მეურნეთა საზოგადოებისათვის—სამეურნეო და შინაურ სამრეწველო გამოფენა ბორისოგლებსკში 27 სექტემბრიდამ 20 ოქტომბრამდე; კიევის სამეურნეო საზოგადოებისათვის-გამოფენა წვრილფეხ ფრთოსანთა ზრდისა, მეღორობისა და მეფუტკრეობისა აგვისტოში ქალაქ კიევს; ფელინის სამეურნეო საზოგადოებისათვის—გამოფენა სელის მოყვანისა და თესლეულობისა ფელინს თებერვალში და კურლიანდიის სამეურნეო საზოგადოებისათვის ტუკუმის საზოგადოებითურთ—სამეურნეო გამოფენა ტუკუმს 14—17 ივლისამდე. სამინისტროს დაუნიშნავს ექსპონენტებისათვის საჩუქრად მედლები და მოწმობანი მოწონებისა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან დანიშნულ კომისიას შეუდგენია პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სანიტარულის მხრით ქარხნების მუშების მდგომარეობა. როგორც „Нов. Вр.“ ამბობს, ამავე კომისიას წარუდგენია კიდევ მეორე პროექტი მუშების ქარხნებში დასახიჩრების დასაზღვევლად. თითოეული მექარხნე-კაპიტალისტი ვალდებული იქმნება წარადგინოს ხაზინაში შესაფერი ფული იმის დაგვარად, რამდენი მუშაც ეყოლება. ამ ნაირად შეკრებილ ფულით შესდგება ფონდი და აი ამ ფონდით ხაზინა უნდა დაეხმაროს იმ მუშების ოჯახებს, რომელნიც ქარხნებში დასახიჩრებულან მუშაობის დროს.

## წვრილი ამბები

ქვითკირის აშენება, როგორც ვიცით, ზამთარში მოუხერხებელია, რადგანაც კირს ანუ „ცემენტს“ ყინვა ისე სძრავს, რომ ქვებსა და აგურებს არ ეწებება და მალე სცილდება. ახლა ამის წამალიც გამოუგონიათ. აი ეს წამალი. ნახევარ კოდზედ ცოტა მეტი კირი აიღე და ორი წილი სილა შიგ გაურიე. გახსენი აგრეთვე კარგა ბლომა წყალში 23 გირვანქა შაქარი, ანუ 34 გირვანქა ბადაგი, ნელ-ნელა დასხი ერთმანეთში არეულს კირსა და სილას და თან ზილე. ამ სახით შეზავებული „ცემენტი“ მშვენიერის თვისებისა არის და ზამთარშიაც გამოდგება. ცარიელ კირს თუ გაურიე შაქარ-ხსნილი ანუ წყალ-ნარევი ბადაგი ისე, როგორც ზემოდ ცემენტზე ვთქვით, მაშინ ამ ნაირის კირით კედლების შელესვა უფრო იაფად დაჯდება, ვიდრე უბრალო კირით. შაქარ ანუ ბადაგ-ნარევი კირი როცა გაშრება, ქვასავით გამაგრდება და კედელს აღარ მოსცილდება.

— ამას წინად ბოსტონში მისულა ამერიკის დასავლეთ ნაპირებიდგან ერთი ინგლისური ხომალდი, რომელსაც ოტლანტიკის ოკეანეზე ცურვის დროს იმდენი თავ-გარდასავალი გარდახდენია, რომ ერთის გაგონებით კაცი ძნელად დაიჯერებს. უეცრად ზღვაში საშინელი

---

manu--assur მეოთხის მეფობიდგან და მიდიან Assur-bani pal-ის მეფობამდე, ე. ი. IX საუკუნიდგან VII-მდე ქრისტიანობის წინ [3]). ეს წარწერანი მოგვითხრობენ იმ დროინდელ არმენიის პოლიტიკურ მყოფობას, მეტადრე IX და VIII საუკუნეთა. მე უკვე მოვიხსენე წინა წერილში [4]) ეს გარემოება და გამოვსახე, თუ მაშინდელი არმენია რა ნაირად იყო გაყოფილი მრავალ წვრილ-წვრილ მფლობელობად, რომელთა შორის უფრო გამოჩენილნი იყვნენ: Vanna ანუ Van, Musasir, „არსისა“ კლასიკურთა გეოგრაფთა, Mildis, რომელიც შესდგებოდა იმ გარემო მთათაგან, საცა ეხლა არზრუმი იმყოფება, Milid ანუ Milidda, მელიტენი ბერძენთა და რომაელთა და, ყველა ამათზედ უაღრესი, Urarti ანუ არარატი. ნინევიის წარწერანი მოიხსენებენ ზოგიერთ მეფის სახელებს ამ სამეფოთა. თუმცა მაშინდელი არმენია ესე გაყოფილი იყო მრავალ სამეფოდ, მაგრამ როდესაც ყურადღებით განვიხილავთ საკუთარ სახელებს იქაურ პროვინციებისას, ქალაქებისას, ადამიანებისა და ღმერთებისას, რომელნიც მოხსენებულნი არიან იმ წარწერებში, მაშინ ცხადდება უეჭველად, რომ მთელი იქაური ხალხი ეკუთვნოდა ერთ შთამომავლობას, ერთსა და იმავე ენას და მეცხრე საუკუნიდგან ემორჩილებოდა Urarti-ის სუზერენობას, იმის უფროსობას.

მაშინდელ არმენიის ხალხი რა ხალხი იყო, რა ტომისა, შთამომავლობისა, რა თესლისა (რასისა)? თუმცა ასსურულნი წარწერანი საკმაოდ გვიმტკიცებენ, რომ ის ხალხი ეკუთვნოდა ერთ შთამომავლობას, მაგრამ მარტოს წარწერანი არა კმარან ზემო დასმულ საქმის გადასაწყვეტად; ამისათვის მიუცილებელია მიმართვა ალაგობრივ ლურსმულ წარწერათა განხილვისა. ეს უკანასკნელნი აქამდის ბლომად აღმოჩენილან, როგორც არმენიაში, ისე ქურდისტანში და ზოგნი უკვე გამოცხადებულან საქვეყნოდ, ზოგნი-კი იმყოფებიან მუზეუმებში და ეხლა ყველა მეცნიერების მოყვარეს შეუძლიან მათი გარჩევა, გაჩხრეკა, გამოკვლევა. ამათში პირველი ალაგი უნდა მიეცეს ოც-და-თერთმეტ წარწერათა ვანისა და ამ ქალაქის გარემოთა მყოფთ, რომელნიც მოიპოვა დაუშრომელმა და უბედურმა შულცმა [5]) და გამოაცხადა საქვეყნოდ პარიჟის აზიურმა ჟურნალმა (Journ. asiat., მესამე სერია, მეცხრე ტომი, I-VI პლანშეტები). შულცის კოპიოები შეადგენენ 42 ნომერს, რომელთაგანაც 9—11 სამქარგიანი წარწერანი ქსერქსს ეკუთვნიან; 2—8 შეადგენენ ერთ და იმავე ტექსტს, გამოჭრილს ბრძანებითა ერთისა და იმავე მეფისა შვიდ ქვის ფიცარზედ, რომელიც მოგვითხრობს ამ მეფის სამხედრო მოქმედებათ; ამ გვარივე წარწერათ შეადგენენ აღნიშნულნი 33—35 ნომრებ ქვეშ. გარდა შულცის წარწერათა, ცნობილია ორი სხვა, ჯერ გამოუცხადებელი, წარწერა, ლეიარდისაგან გადმოღებული, რომელიც ბრიტანიის მუზეუმში მოიპოვება. მეხითარისტმა ნერსეს სარქისიანმა გამოაცხადა (ვენეცია, 1864 წ.) ოთხი ტექსტი ლურსმულ წარწერათა (№№ 4, 5, 7 და 8), ნაპოვნნი ვანსა და იმის გარემოთა, რომელთა დართო ოთხიც სხვა, ცნობილი შულცის ღვაწლით. ამათ უნდა დავრთოთ ორი წარწერა, Palu-დგან მდებარე ევფრატის სიახლოვეს, რომელნიც ლეიარდმა შეცდომით ერთ-წარწერად მიიღო, წარწერა იმავე მდინარეს ახლო მდებარე Malatigah-გან, წარწერა Hassan Galá-ისა არზრუმის სიახლოვეს და ბეჭედი Arzana-სი, მუშაშირის მეფისა, რომელიც სცხოვრობდა sar-yukin-ის (sargon) დროს. ყველაზედ ახლად არზრუმს ახლო ნაპოვნი ჯერ გამოუცხადებელი წარწერა მე გადმომცეს პარიჟის მურადიანის კოლლეგიის მეხითარისტებმა. სულ აქამდის ცნობილნი წარწერანი რიცხვით 44-ია, რომელთა შორისაც ზოგნი კარგა ვრცელ ტექსტს შეადგენენ.

ხსენებულნი წარწერანი დიდ საუნჯეს შეადგენენ, რომელთა საფუძვლიანი გამოკვლევა ახდიდა საიდუმლოების ფარდას ბევრ სასარგებლო ცნობას. ამიტომ ვწუხვარ, რომ ეს უძვირფასესნი ტექსტნი უკანასკნელ დრომდის სრულებით უყურადღებოდ დარჩნენ. რადგანაც პირველ ხარისხის მეცნიერებმა ჯერ არა წარმოგვიდგინეს-რა ამ საქმეზედ, მე მინდა აქ იმას შევეხო და გამოვთქვა, რასაც ჩემი საკუთარი გამოკვლევა ჩამაგონებს, თუმცა ამისთანა შრომა უფრო შეშვენოდა ჰანრი რაულინსონისა და ჩემის მეგობარ ოპპერტის მაღალ სწავლას, რომელთა განთქმული ავტორიტეტობა მოჰფენდა ულეველ ნათელს ამ საჩინო საქმეს.

ილია ოქრომჭედლიშვილი

(შემდეგი იქნება)

[3]) საკუთარ სახელებს ლათინურ ასოებით წარმოვადგენ, როგორც დედანშია, გამოთქმის შეცდომის ასაცილებლად.

[4]) დილორიესთან მიწერილ წერილთან ფრ. ლენორმანს ოთხიც სხვა წერილი აქვს გამოცხადებული ხელივე; წერილი შეადგენს ერთ დიდ ტომს და ჰქვიან lettres assyriologiques, premiére serie; ხსენებული წინა წერილი შეეხება მიდიის უძველეს დროს; მეორე აქ ითარგმნება; მესამე მოგვითხრობს ისტორიას ბაბილონისა და ასსურელ მეფეთას; მეოთხე და მეხუთე წარმოადგენს არაბეთის სარწმუნოების მყოფობას, ისლამის წინა დროებისას.

[5]) ეს სწავლული ფრანსიელი აზიურ ჟურნალისაგან იყო გაგზავნილი არმენიაში და მოგზაურობის დროს ქურდისტანელმა ვაჟკაცებმა მოჰკლეს.

გრიგალი ამოვარდნილა და ეს ხომალდი სხვა მხრისკენ წაუღია და ხომალდებისთვის დაუშორებია. არავის არ ეგონა თურმე, თუ ხომალდი გადურჩებოდა განსაცდელს. ხომალდის ბაქანში უყოფილიყო 12 გველი, 400 კაკადუ (ფრინველია) და თუთიყუში, ერთი ორანგუტანგი, ერთი გორილლა (მაიმუნივე), კიდევ რამდენიმე სხვა მაიმუნი და ორი ნიანგი. რაც თუთიყუშებისათვის წამოღებული საჭმელი ჰქონდათ, სულ ვირთაგვებმა შეჭამეს თურმე და ფრინველები შიმშილით დაიხოცნენ. ზღვის ღელვის დროს გველებმა გასტეხეს თავისი გალიები, მატროსების საწოლ ადგილისკენ წავიდნენ და ქვეშაგებში შეძვრნენ. მატროსები ისე შეშინდნენ თურმე, რომ ხუთის დღის განმავლობაში არც-კი მიეკარებიან იავის ლოგინს და ხომალდის სენაკში იწვნენ. ამასობაში გაიმართა სასტიკი ბრძოლა გველებსა, ვირთაგვებსა და ნიანგებს შორის, დადგა სისხლის ღვარი და გამარჯვებული ცხოველები ხარბად სანსლავდნენ დამარცხებულებს, სანამ უკანასკნელმა ნიანგმა არ გადაჰყლაპა უკანასკნელი გველი. მაგრამ ვერც ეს გამარჯვებული ცხოველი გადურჩა სიკვდილს: უეცრად ზევიდგან ჩამოვარდა უზარმაზარი უჯრა, დაეცა ზედ და გასრისა. როდესაც ეს ქვემძრომები ერთმანეთს ებრძოდნენ, მაიმუნები აცოცდნენ თურმე ხომალდის საიალქნეზედ, საიდგანაც მათი ჩამორეკა უოვლად შეუძლებელი იყო. ბოლოს, ოთხს გარდა, ყველა წყალში გადაცვივდა და დაირჩო. ყველაზე უფრო საშიში იყო ამ დროს გორილლა, რომელმაც გასტეხა თუ არა თავისი მაგარი გალია, საიდგაც იპოვა თურმე რკინის მძიმე ბერკეტი, გაგულისებული დარბოდა ბაქანზედ და რასაც-კი შეხვდებოდა, ყველაფერს ჰლეწავდა. ბოლოს შეხვდა მზარეულს და უნდოდა ბრავგანი გაედინა თავში, მაგრამ მზარეულმა დაასწრო, დაჰკრა ცული მაიმუნს ყვრიმალში და იქვე სული გააფრთხობინა. გადარჩა ცოცხალი მხოლოდ ორანგუტანგი, სამი მაიმუნი და ოთხი თუთიყუში. ამ ხომალდის კაპიტანმა სერჟენტმა განაცხადა, რომ ამას იქით ჩემს დღეში ხომალდზე მხეცებს აღარ მივიბარებო.

— ჭლექის წამალი. ინგლისელი დოქტორი ბაუდიჩი ამბობს, რომ წმინდა ჰაერზედ ყოფნა საუკეთესო წამალია ჭლექისათვისაო. ავადმყოფი მხოლოდ დასაძინებლად უნდა შევიდეს ოთახში და დანარჩენს დროს-კი დილიდამ საღამომდე ზაფხულშიაცა და ზამთარშიაც სულ გარედ უნდა ატარებდეს. თუ ავადმყოფი ძალიან დასუსტებულია, ბალკონზე უნდა გაუმართონ საწოლი, და თუ სიარული შეუძლიან, რაც მეტს ივლის წმინდა ჰაერზე, იმდენად უმჯობესიაო.

## დეპეშა

16 თებერვალი

პეტერბურგი. „День“-ი იუწყება, რომ სინოდმა გადასწყვიტა განავრცოს პროგრამა სამღვთო წერილის სწავლებისა და ამ აზრით მოემატოს გაკვეთილების რიცხვსა საერო სასწავლებლებში; აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნან მასწავლებელნი სამღვთო წერილისა სამრევლო მოძღვრის თანამდებობისაგან და მიეცეს მხოლოდ ნება ასწავლონ თავიანთი საგანი რამდენსამე სასწავლებელში.

«Новости»-ის გაუგონია, რომ დაარსებულია გზათა სამინისტროში კომისია რუსეთის რკინის გზათა წესდების გადასასინჯავად.

ვორონეჟი. დღეს გაიმართა ვორონეჟის განყოფილება მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებისა. საზოგადოების წევრად ჩაეწერა 150 კაცზედ მეტი.

რომი. იტალიის ჯარის ბევრს გენერლებს ებრძანა, სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შემოიტანეთო. მთავარ-შტაბის უფროსს უცვნია, რომ ისინი არ შეუძლიანთ უწინამძღვრონ მათდამი მინდობილ ჯარებსა.

ბერლინი. იმპერატორი 10 საათიდამ დაწყებული იმყოფებოდა სახელმწიფო საბჭოში, რომელიც მუშების პატრონობის შესახებ კანონ-პროექტს არჩევდა.

პეტერბურგის ბირჟა, 13 თებერვ.

| | მიცემული ყიდ. | გაყიდვა-ყიდვა. | გაყიდულ-ყიდვა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 147 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | 239 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 228¾ |
| —მესამისა . . . | — „ | — „ | 217½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

17 დღე შაბათი. ქართველი წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა. კათოლ. წმ. დონატისა და თეოდულასი. სომეხ. 9 დღე დიდმარხვისა.—წმ. თეოდორესი მხედრობისა. მზე ამოდის 6—35. ჩადი. 5—50, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 9 დღისაა.

18 დღე კვირა. ქართველი წმიდათა შორის მამისა ლეონ, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. სამსონისა, მაქსიმესი და კონსტანციისას სომეხ. წმ. კონსტანტინეპოლში მომწყვდართა, 7 დღე დიდმარხვისა. საქართველოში შემოიღეს ახალი წესდებულება სასამართლოსი 1868.; გაიხსნა ამავე წელს ტფილისში საქალაქო საავათმყოფო. მზე ამოდის 6—34, ჩადის 5—12, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართველი წმიდისა მოციქულისა არხიპისა. კათოლ. წმ. კონრადისა გობინისა და გოდფრიდასი. სომეხ. 8 დღე დიდმარხვისა. გრ. ზუბოვი დანიშნეს მხედრობის მთავარ სარდლად აღა-მაჰმადხნის წინააღმდეგ 1796 წ. ბატონ ყმობის განთავისუფლება აფხაზეთში 1871 წ. მზე ამოდის 6—32, ჩადის 5—53. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 11 დღისაა.


## განცხადებანი

ტფილისის საბაღოსნო სკოლაში

ისყიდება

ხეხილი, დასამშვენებელი ხეები და ბუჩქები ერთ წლიანებიდამ დაწყებული ოც-წლიანებამდე.

(10—8)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| იაენანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კედლის კალენდარი ჩარკვიანისა . . . . . | „ | 40 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . | „ | 10 |
| საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . . | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი, 1890 წ. ექ. ხელაძის გამოცემა . . . | „ | 52 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი . . . . | „ | 30 |
| უბის წიგნი 1890 წ. ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული. . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი 1890 წ. მისივე . . . | „ | 50 |
| ძმა ძმის მტერი მოთხრობა თარგმანი ა. წითლიძისა . | „ | 10 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . . | „ | 45 |

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на газету

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

на 1890 годъ

Газета, не измѣняя своего направленія, и въ будущемъ году будетъ издаваться ежедневно, исключая послѣпраздничныхъ дней. Главнымъ образомъ, какъ и въ предыдущіе годы, мы направимъ всѣ свои усилія къ развитію „МѢСТНАГО ОТДѢЛА“ давая въ немъ возможно полныя свѣдѣнія о мѣстной жизни, о мѣстныхъ злобахъ дня о вообще и выдающихся событіяхъ и проявленіяхъ общественной жизни. Еженедѣльно мы будемъ помѣщать по одному ФЕЛЬЕТОНУ, посвященному выдающимъ событіямъ русской и иностранной жизни Постоянными сотрудниками, какъ и въ настоящемъ году будутъ:

*Зоиль, Давидъ Сослани* (Д. И. Кезели) и И. Г. Хечатуровъ.

Всѣ годовые подписчики „Тифлисскаго Листка“, подписавшіеся до 1-го января, получатъ безплатно „Армянскій Календарь“ на русскомъ (языкѣ), съ предсказаніями, на 1890 годъ.

Эта изящно данная карманная книжка на этотъ разъ, сверхъ общихъ календарныхъ свѣдѣній, будетъ заключать въ себѣ еще; 1) предсказаніе О ПОГОДѢ Армянскаго Эфемерди, 2) предсказаніе на каждый луный день, 3) наставленія Эфемерди на каждый мѣсяцъ отдѣльно, 4) Образцы народныхъ сказаній и 5) гастрономическій календарь тифлисскаго мокалака.

Въ частную продажу «Армянскій Календарь» НЕ ПОСТУПИТЪ.

Городскимъ подписчикамъ календарь будетъ доставленъ 1-го января на домъ, а иногороднымъ почтой.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Съ доставкой въ Тифлисѣ. | | Съ пересылкой для иногороднихъ. | |
|---|---|---|---|
| На годъ. | 4 р. | На годъ . . . . | 5 р. |
| „ полгода | 2 „ 50 к. | „ полгода . . . | 3 „ |
| „ 1 мѣсяцъ— | „ 50 „ | „ 1 мѣсяцъ . . . | 1 „ |

ПОДПИСКА и ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются въ конторѣ редакціи „Тифлисскаго Листка“—въ г. Тифлисъ и въ Москвѣ, въ конторѣ объявленій В. А. Гиляровскаго, Столешниковъ пер., д. Карзинкина.

Подписка принимается только на вышеуказанные сроки съ 1-го числа каждаго мѣсяца:


Доз. ценз Тифлисъ 16-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე